



## CRIZOTINIB - XALKORI®

### რა არის XALKORI

| მოლეკულის აღწერა | აღწერა                                                                                                                                                                 |
|------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კრიზოტინიბი      | <p>200 მგ-იანი კაფსულა, თეთრი და ვარდისფერი<br/>250 მგ-იანი კაფსულა, ვარდისფერი</p>  |

### როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, ის არის ..... მგ/დღეში, ანუ ..... მგ-იანი 1 კაფსულა, 2-ჯერ დღეში, ყოველდღე.

უნდა გადაყლაპოთ მთლიანი, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, კაფსულების გახსნისა და განზავების

გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე.

დავინწყების შემთხვევაში: მიიღეთ შესაბამისი დოზა, თუ დაგვიანება 6 საათზე ნაკლებია.

დავინწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

### დოზირება - მიღების წესი

|                                                             |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 2-ჯერ დღეში, ფიქსირებულ დროს, საკვებთან ერთად ან მის გარეშე |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| უწყვეტლივ                                                   |  დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7                     ...  დ28 |

### როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს მედიკამენტი ხელმისაწვდომია როგორც საცხოვრებელი უბნის, ასევე საავადმყოფოს აფთიაქში, მითითების მიხედვით.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

### სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება მოითხოვს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს, ღვიძლისა და თირკმელების ფუნქციებს, კალიუმის, კალციუმისა და მაგნიუმის დონეს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა, გულისცემა, ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან თქვენს კვებასთან ურთიერთქმედება

XALKORI®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებულნი იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: ნუ მოიხმართ შემდეგ ნივთიერებებს: გრეიფრუტის წვენი, კრაზანა, ბოლდო, ფუკუსი, აზიური ჟენშენი, სევილიური ფორთოხალი, პასიფლორა, ბაბუანვერა XALKORI®-სთან ერთად.

### რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

**ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი**



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .

ემყარება შემდეგ ნაშრომს <https://oncolien.sfpo.com>.

ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე <https://www.sfpo.com>

საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

**ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.**

| გვერდითი მოვლენები                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ყველაზე ხშირი                                                                                               | <p><b>მხედველობის დარღვევები</b><br/> <b>საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები:</b> გულისრევა, დიარეა, ღებინება, შეკრულობა, მადის დაკარგვა, ტკივილი მუცლის არეში, გემოს შეგრძნების დარღვევები<br/> <b>ზოგადი:</b> დაღლილობა, გონების დაბინდვა, გულის ცემის სიხშირის შემცირება, შებერილობა ან შეშუპება (სახე, ფეხები, ხელები). <b>ბიოლოგიური ანალიზი:</b> ჰემოგლობინის შემცირება (ანემია) და/ან თეთრი სისხლის უჯრედების შემცირება (ნეიტროპენია), ღვიძლის ფუნქციის ანალიზის დარღვევები.<br/> <b>სხვა:</b> ნევროპათია (ჩხვლეტა, მგრძნობელობის დარღვევები), კანის გამონაყარი.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები | <p><b>საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები</b><br/>                     &gt; წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა<br/>                     &gt; ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა<br/>                     &gt; ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში<br/>                     &gt; არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში.<br/>                     &gt; კუჭში გასვლა კვირაში 3-ზე ნაკლებ ჯერ<br/> <b>ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები</b><br/>                     &gt; ტემპერატურა &gt; 38,5 °C<br/>                     &gt; ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად<br/> <b>გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები</b><br/>                     &gt; გონების დაკარგვა, გულის ფრიალი<br/>                     &gt; სუნთქვის უკმარისობა, ენერგიის ნაკლებობა, თავბრუსხვევა<br/> <b>ხედვის დარღვევები</b><br/>                     &gt; მხედველობის დარღვევები<br/> <b>ფილტვების არეში დარღვევები</b><br/>                     &gt; დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება</p> |
| როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| წონა                                                                                                        | <b>გააკონტროლეთ</b> რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების ან ედემას დროს                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| კუჭის შეკრულობა                                                                                             | კუჭ-ნაწლავის ტრანზიტის გასაუმჯობესებლად, <b>დაკავდით</b> რეგულარული და ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით: სიარული, ბალში მუშაობა, ცურვა, ველოსიპედი, სპორტი და ა.შ.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| დაღლილობა                                                                                                   | <b>ამჯობინეთ</b> ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ.<br><b>ჩაანაცვლეთ</b> აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| ინფექცია                                                                                                    | <b>მოერიდეთ</b> რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). <b>რეკომენდირებულია</b> პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო <b>აცრა:</b> ის თქვენ დაგიცავთ.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| კანის მოვლა                                                                                                 | <b>ჰიდრატაციის უპირატესობა მიანიჭეთ</b> რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით.<br><b>მოერიდეთ</b> ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. <b>მზისგან</b> დასაცავად <b>გამოიყენეთ</b> მზის დამცავი კრემი და <b>მოერიდეთ</b> მზეზე გასვლას.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| შეშუპებები                                                                                                  | <b>ნუ ატარებთ</b> ძალიან მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?                                                                      |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| გულისრევა                                                                                                   | <b>უპირატესობა მიანიჭეთ</b> ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი.<br><b>შეზღუდეთ</b> ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |

|                             |                                                                                                                                                                                                                                            |
|-----------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დიარეა                      | <b>უპირატესობა მიანიჭეთ</b> დაბალბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი.<br><b>არ მიირთვათ</b> უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი.<br><b>დალიეთ</b> წყალი დიდი რაოდენობით. |
| კუჭის შეკრულობა             | <b>უპირატესობა მიანიჭეთ</b> მაღალბოჭკოვან დიეტას.<br><b>დალიეთ</b> წყალი დიდი რაოდენობით.                                                                                                                                                  |
| გემოს შეგრძნების დარღვევები | <b>მიიღეთ</b> თბილი ან ცივი საკვები პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში.<br><b>მოერიდეთ</b> სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.                                                                                                                     |
| წონის დაკარგვა              | <b>უპირატესობა მიანიჭეთ</b> უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“.                                                                                                                                                                    |